

დანართი N 1

პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“
სამოქმედო გეგმა

თბილისი
2020

სარჩევი

შესავალი	გვ.3
რისკების შეფასება	გვ.3
აკადემიის მიერ გატარებული პრევენციული ღონისძიებები.....	გვ.4
თავი I. ჰიგიენური რესურსებით უზრუნველყოფა.....	გვ.6
თავი II. საიზოლაციო ოთახის მოწყობა და ფუნქციონირება.....	გვ.6
თავი III. თერმოსკრინინგის ჩატარებისა და ვიზიტორთა აღრიცხვის წესი.....	გვ.7
თავი IV. სასწავლო პროცესის ორგანიზება.....	გვ.9
თავი V. ელექტრონული ჟურნალის წარმოების წესი.....	გვ.10
თავი VI. აკადემიის საერთო სივრცეებში გადაადგილების წესი.....	გვ.11
თავი VII. აკადემიის სანიტარიული კვანძის, შიდა და გარე სივრცეების დასუფთავების წესი.....	გვ.11
თავი VIII. პირველადი სამედიცინო დახმარება და სამედიცინო კაბინეტის მოწყობის წესი.....	გვ.12
თავი IX. სადამრიგებლო საქმიანობის განხორციელება.....	გვ.13
თავი X. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.....	გვ.13
თავი XI. კაფეტერიით სარგებლობისა და მოსწავლეთა/აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფის წესი	გვ.14
თავი XII. სპორტის გაკვეთილის ჩატარების წესი.....	გვ.16
თავი XIII. უცხოურ ენებში განაყოფებისთვის განკუთვნილი ოთახებისა და სასწავლო ლაბორატორიებით სარგებლობის წესი.....	გვ.16
თავი XIV. აკადემიის კლუბების მუშაობის წესი.....	გვ.17
თავი XV. მშობელთა კრებების ორგანიზების წესი	გვ.17
თავი XVI. უცხო პირთა, მათ შორის მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, აკადემიაში დაშვების წესი.....	გვ.18
თავი XVII. მოსწავლეთა რემედიაციის წესი.....	გვ.18
თავი XVIII. აკადემიის ფსიქოლოგის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებაში...	გვ.18
თავი XIX სსსმ მოსწავლეებთან/აღსაზრდელებთან მუშაობა.....	გვ.19
დანართები	20

შესავალი


შპს თანამედროვე განათლების აკადემიის პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა ეყრდობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 7 ივლისის ბრძანება #01-227/ო-ს (დანართი #13, 17, 36, 37, 39) და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მითითებებს. ასევე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს.

სამოქმედო გეგმის მიზანია, პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში აკადემიაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და მათი ეფექტიანობის მონიტორინგის გზებისა და ფორმების შემუშავება.

რისკების შეფასება

გეგმის გაწერამდე ჩატარდა დეტალური რისკების შეფასების პროცესი. რისკების შეფასების პროცესში გათვალისწინებულ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ახალი კორონავირუსით (SARS, SARS-CoVCoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ აკადემია თავისი საქმიანობის სფეროდან გამომდინარე გადის COVID -19 ის მიმართ თანამშრომელთა ინფიცირების საშუალო რისკის კატეგორიაში:

აღნიშნული რისკის დონის გათვალისწინებით აკადემიამ შეიმუშავა კონტროლის მექანიზმები და შეეცადა რისკის დონის კიდევ უფრო ჩამოწევას და მის გადაყვანას დაბალი რისკის კატეგორიაზე. რისკების შეფასების შემდეგი ეტაპი: კონტროლის მექანიზმების შემუშავება წარიმართა საერთაშორისოდ აპრობირებული და შრომის ინსპექციის დეპარტამენტის მიერ რეკომენდირებული კონტროლის მექანიზმების იერარქიის მიხედვით: კონტროლის მექანიზმების იერარქია:



აკადემიის მიერ გატარებული პრევენციული ღონისძიებები:

- აკადემიის შიდა სივრცეებში (შემოსასვლელში, ნულოვან, პირველ და მეორე სართულებზე) თვალსაჩინო ადგილებში განთავსებულია COVID-19-ის პრევენციული ღონისძიებების შესახებ განცხადებები, ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესების დაცვის ამსახველი თვალსაჩინოებები;
- აკადემიის შესასვლელთან განთავსებულია დეზობარიერი, სავალდებულო გამოყენების ნიშნის მითითებით;
- აკადემიის შესასვლელთან ხორციელდება თერმოსკრინინგი, რათა გაკონტროლდეს აკადემიის თანამშრომლების, მოსწავლეების, აღსაზრდელების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების და აკადემიაში მომსვლელი ნებისმიერი ვიზიტორის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ტემპერატურის გაზომვით;
- თერმოსკრინინგის დროს დაფიქსირებული მაღალი ტემპერატურის ხელმეორედ გადამოწმების მიზნით, აკადემიის შესასვლელში მოწყობილია შესაბამისი მოსაცდელი სივრცე;
- მოსწავლეთა, აღსაზრდელთა და პერსონალის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის მიზნით უზრუნველყოფილია სამედიცინო კაბინეტის შეუფერხებელი ფუნქციონირება;

- აკადემიის პირველ სართულზე მოწყობილია საიზოლაციო ოთახი ყველა აუცილებელი მოთხოვნის გათვალისწინებით;
- ხელის დეზინფექციისათვის არანაკლებ 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ანტისეპტიკური საშუალებების დისპენსერები განთავსებულია აკადემიის შესასვლელში, საერთო სარგებლობის სივრცეებთან (საიზოლაციო ოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო, სასადილო, დერეფნების შესასვლელი და სხვ.);
- ნებისმიერი პირის შენობაში შესვლა ხდება პირბადით (გარდა მოსწავლეებისა და აღსაზრდელებისა), დეზობარიერის გავლით, თერმოსკრინინგისა და ხელის ჰიგიენის ჩატარების შემდეგ;
- საპირფარეშოები უზრუნველყოფილია ხელსაბანი ნიჟარით, თხევადი საპნით და ხელის გასამშრალელებელი ერთჯერადი ხელსახოცებით;
- სასწავლო პროცესის შეუფერხებელი და უსაფრთხო განხორციელებისთვის აკადემიაში შემუშავებულია საკლასო ოთახებში მოსწავლეთა/აღსაზრდელთა განთავსების, შესვენებების ხანგრძლივობისა და მოსწავლეთა/აღსაზრდელთა და მასწავლებელთა და აკადემიის სივრცეში მშობელთა ქცევის რეგულირების (დანართი N 1, N2 და N3), კვებისა და ბუფეტით სარგებლობის წესები და საგაკვეთილო ცხრილი;
- აკადემიის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე პასუხისმგებელი პირები¹.

თავი I. ჰიგიენური რესურსებით უზრუნველყოფა

მუხლი 1. აკადემიაში არსებობს და სისტემატურად ნახლდება პირბადეების, ანტისეპტიკური სითხეების, ქაღალდის ხელსახოცების, სარეცხი და საწმენდი საშუალებების, ერთჯერადი გამოყენების პოლიეთილენის პარკების, დახურული კონტეინერების, ხელთათმანებისა და სხვა ჰიგიენური საშუალებების რეზერვი;

მუხლი 2. აღნიშნული რეზერვი განთავსებულია აკადემიის საწყობში (ოთახი N 113), რომელიც ბუნებრივად ნიავედება და დაცულია გარეშე პირთაგან;

მუხლი 3. რეზერვების უსაფრთხო შენახვა/დასაწყობებაზე, განახლებასა და გამოყენებაზე პასუხისმგებელია აკადემიის ტექნიკური მენეჯერი.

თავი II. საიზოლაციო ოთახის მოწყობა და ფუნქციონირება

¹ იხ. შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორის ბრძანება N01/24 (ქ. თბილისი. 31 აგვისტო 2020 წელი) შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ 2020 წლის 24 აგვისტოს „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ N01/22 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 4. აკადემიის პირველ სართულზე, შესასვლელთან განთავსებულია საიზოლაციო ოთახი (ოთახი N 102), რომელიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი ვენტილაციით. ოთახი აღჭურვილია: სკამებით, ტახტით, ხელის ჰიგიენის საშუალებებით: ხელსაბანი ნიჟართ და თხევადი საპონით;

მუხლი 5. ყოველი გამოყენების შემდეგ საიზოლაციო ოთახი მუშავდება სველი წესით;

მუხლი 6. საიზოლაციო ოთახში განთავსებული მოსწავლის/აღსაზრდელის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უკავშირდება აკადემიის ექიმი, ატყობინებს მოსწავლის/აღსაზრდელის მდგომარეობას და ათანხმებს აკადემიის ტერიტორიიდან მისი გაყვანის გონივრულ დროს. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში აკადემიაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ექიმი უკავშირდება 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად, გადამისამართების მიზნით;

მუხლი 7. საიზოლაციო ოთახის მატერიალური და ჰიგიენური რესურსებით მომარაგებაზე პასუხისმგებელია აკადემიის ტექნიკური მენეჯერი; საიზოლაციო ოთახის სველი წესით დამუშავებაზე პასუხისმგებელია აკადემიის დამლაგებელი. საიზოლაციო ოთახში განთავსებული პირის ჯანმრთელობის კონტროლს ახორციელებს აკადემიის ექიმი.

თავი III. თერმოსკრინინგის ჩატარებისა და ვიზიტორთა აღრიცხვის წესი

აკადემიის მოსწავლე, თანამშრომელი და ვიზიტორი აკადემიაში შემოსვლისთვის სარგებლობს ცენტრალური შემოსასვლელით, ეზოს ტერიტორიაზე გადის თერმოსკრინინგს. აკადემიის ეზო იძლევა საშუალებას თერმოსკრინინგის ჩატარებისას დაცული იყოს ორმეტრიანი დისტანცია. აკადემიაში შემომსვლელები და აკადემიიდან გამსვლელები სარგებლობენ სხვადასხვა კარით.

მუხლი 8. აკადემიაში ვიზიტორთა თერმოსკრინინგი ტარდება აკადემიის ძირითადი შემოსასვლელის წინ, ეზოს პერიმეტრზე. თერმოსკრინინგს ახორციელებს აკადემიის დაცვის ორი წევრი, რომლებსაც უკეთიათ პირბადე და იცავენ მინიმუმ 1 მეტრიან დისტანციას;

მუხლი 9. ვიზიტორები, რომლებსაც თერმოსკრინინგის დროს აღმოაჩნდებათ 37 C ან მეტი ტემპერატურა, განმეორებითი თერმოსკრინინგის მიზნით (ხორციელდება ვერცხლისწყლის თერმომეტრით 15 წუთიან შუალედში) ყოვნიდან ეზოში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. რთული კლიმატური პირობების შემთხვევაში, განმეორებითი თერმოსკრინინგისთვის ვიზიტორები განთავსდებიან აკადემიის შესასვლელში გამოყოფილ მოსაცდელ სივრცეში. ყოველი გამოყენების შემდეგ ხორციელდება ვერცხლისწყლის თერმომეტრის სავალდებულო დამუშავება

სადეზინფექციო ხსნარით;

მუხლი 10. ვიზიტორები, რომლებსაც აღენიშნებათ რესპირატორული დაავადებებისთვის დამახასიათებელი ნიშნები და/ან დასაშვებზე მაღალი ტემპერატურა, არ დაიშვებიან აკადემიის ტერიტორიაზე. რაც შეეხება აღნიშნული სიპტომების მქონე

მოსწავლეებს/აღსაზრდელებს, დაცვის წევრისა და ექიმის მეთვალყურეობით ხდება მათი გადაყვანა საიზოლაციო ოთახში;

მუხლი 11. ვიზიტორები, რომლებიც გაივლიან თერმოსკრინინგს და არ აღენიშნებათ რესპირატორული დაავადებებისთვის დამახასიათებელი ნიშნები, პირბადის გამოყენებით აკადემიის შენობაში შემოსვლისას გადაიან ელექტრონულ (მოსწავლეები/აღსაზრდელები და თანამშრომლები) ან სპეციალურ ჟურნალში (დირექციასთან შეთანხმებით აკადემიაში მოსული გარეშე პირები) (დანართი N 4) რეგისტაციას;

მუხლი 12. ვიზიტორთა თერმოსკრინინგსა და რეგისტრაციაზე პასუხისმგებელია აკადემიის დაცვის სამსახურის უფროსი;

მუხლი 13. აკადემიაში მასწავლებლის/თანამშრომლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში ადმინისტრაცია ადგენს და წერილობით აფიქსირებს გაცდენის მიზეზს. აკადემიაში ცხელების, რესპირატორული სიმპტომების დაფიქსირების ყველა შემთხვევის შემდგომ მასწავლებლებისა და თანამშრომლების სასწავლო დაწესებულებაში დაშვება ხდება პჯრტესტირების დასკვნის საფუძველზე (COVID-19-ით ინფიცირების არ არსებობის შემთხვევაში); თანამშრომლის COVID-19-ით ინფიცირების დადასტურების შემთხვევაში, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის კონტაქტების მოძიებისა და კარანტინის/თვითიზოლაციის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება ხდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების რეკომენდაციების შესაბამისად;

მუხლი 14. აკადემიაში ცხელების, რესპირატორული სიმპტომების დაფიქსირების ყველა შემთხვევის შემდგომ მოსწავლეების/აღსაზრდელების სასწავლო დაწესებულებაში დაშვება ხდება პჯრტესტირების დასკვნის საფუძველზე (COVID-19 -ით ინფიცირების არ არსებობის შემთხვევაში);

მუხლი 15. მოსწავლის/აღსაზრდელის COVID-19-ით ინფიცირების დადასტურების შემთხვევაში, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის კონტაქტების მოძიებისა და კარანტინის/თვითიზოლაციის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება ხდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების რეკომენდაციების შესაბამისად;

მუხლი 16. მე-13 მუხლით განსაზღვრული ღონისძიებების გატარებაზე პასუხისმგებელია აკადემიის სასწავლო პროცესის მენეჯერი და სკოლამდელი აღზრდის პროგრამის მენეჯერი (მასწავლებლებთან დაკავშირებით) და ადმინისტრაციის უფროსი (სხვა თანამშრომლების შემთხვევაში).

თავი IV. სასწავლო პროცესის ორგანიზება

მუხლი 17. აკადემიაში ყველა კლასის/ჯგუფის მოსწავლეებისთვის/აღსაზრდელებისთვის სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ერთ ცვლაში;

მუხლი 18. აკადემიაში უზრუნველყოფილია მოსწავლეების/აღსაზრდელების გარე სივრცეში ხანგრძლივად თამაშის ხელშეწყობას;

მუხლი 19. გაკვეთილებს შორის შესვენებებზე მოსწავლეთა/აღსაზრდელთა უსაფრთხო ქცევის უზრუნველსაყოფად, აკადემიაში მოქმედებს სწავლის დაწყების შემდეგი რეჟიმები: I-

V კლასების მოსწავლეები სწავლას იწყებენ 9.00 საათზე; ხოლო VI-XI კლასის მოსწავლეები - 9.10 წუთზე. აღნიშნული რეჟიმით სხვადასხვა კლასების მოსწავლეთა შესვენების დრო ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხო, დისტანციის დაცვით, გადაადგილებას (დანართი N5ა); სკოლამდელი აღზრის პროგრამაზე სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი იწყება 09.00 სთ-ზე და სრულდება 19.00 სთ-ზე (დანართი N5ბ).

მუხლი 20. დაწყებით საფეხურზე (I-V კლასები) სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 9.00-დან 18.00 საათამდე და მოიცავს, როგორც გაკვეთილებს, ისე კლუბებისა და მოსწავლეთა კონსულტირებისათვის განკუთვნილ დროს. დაწყებით საფეხურზე (VI კლასი) სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 9.10-დან 18.00 საათამდე და მოიცავს, როგორც გაკვეთილებს, ისე კლუბებისა და მოსწავლეთა კონსულტირებისათვის განკუთვნილ დროს. საბაზო და საშუალო საფეხურებზე (VII-XI კლასები) სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 9.10-დან 15.10 წუთამდე და მოიცავს მხოლოდ გაკვეთილებისათვის განსაზღვრულ დროს. აღნიშნული საფეხურის მოსწავლეების კონსულტირება და კლუბებში მონაწილეობა ხორციელდება დისტანციურად;

მუხლი 21. ყოველ საკლასო ოთახში მერხები განლაგებულია ისე, რომ უზრუნველყოფილია მოსწავლეთა შორის 1 მეტრიანი დისტანციის დაცვა.

მუხლი 22. იკრძალება ისეთი გასართობი ღონისძიებები, რომელიც ითვალისწინებს ბავშვთა თავშეყრას;

მუხლი 23. აკადემიაში უზრუნველყოფილია აღსაზრდელების/მოსწავლეების ფანქრების, მაკრატლებისა და სხვა საშუალებებისათვის ინდივიდუალური ყუთების შექმნა.

მუხლი 24. აღსაზრდელებს/მოსწავლეებს ეკრძალებათ სახლიდან სათამაშოების მოტანა;

მუხლი 25. აკადემიის მასწავლებლები/აღმზრდელები, დამლაგებლები და სხვა პერსონალი პერიოდულად ეცნობიან ვირუსის გავრცელების პრევენციის შესახებ რეკომენდაციებს;

მუხლი 26. სკოლამდელი აღზრდის პროგრამის მასწავლებლები უზრუნველყოფენ ბავშვების საწოლების ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით განთავსებას;

მუხლი 27. სკოლამდელი აღზრდის პროგრამაზე შედგენილია სქემა, ბავშვების ოთახებში გადანაწილებასთან და მათ რაოდენობასთან დაკავშირებით;

მუხლი 28. სასწავლო რესურსები და ნივთები, რომელთა დეზინფიცირება ან გასუფთავება მწელია, ამოღებულია ხმარებიდან (მაგალითად, ქსოვილისგან დამზადებული თვალსაჩინოებები). იმ სასწავლო რესურსებს, რომელთა გამოყენებაც რამდენიმე მოსწავლის/აღსაზრდელის და მასწავლებლის მიერ ხდება, ყოველი გამოყენების შემდეგ უტარდება დეზინფექცია;

მუხლი 29. ბიბლიოთეკისა და სპორტული დარბაზის დახურული სივრცეები უზრუნველყოფილია ხელოვნური ვენტილაციით, გარედან შემოსული ჰაერის მომატებული კონცენტრაციით, ცირკულაციითა და გარეთ გატანით. აკადემიის დახურული სივრცეების ხელოვნური ვენტილაციის გამართულ მუშაობაზე საინჟინრო კონტროლს ახორციელებს აკადემიის ტექნიკური მენეჯერი;

მუხლი 30. სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, მის მონიტორინგსა და გამოვლენილი დარღვევებზე რეაგირებაზე აკადემიის სასკოლო საფეხურზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი; სკოლამდელი აღზრდის პროგრამაზე- სკოლამდელი აღზრდის პროგრამის მენეჯერი; სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია ადმინისტრაციის უფროსი.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კლასის მოსწავლეთა სრული შემადგენლობა წერილობით დაადასტურებს თანხმობას და მზაობას დისტანციური (სინქრონული/ასინქრონული) სწავლების მოდელზე გადასვლასთან დაკავშირებით, ეს კონკრეტული კლასი გადაყვანილი იქნება სწავლის დისტანციურ რეჟიმზე.

თავი V. ელექტრონული ჟურნალის წარმოების წესი

მუხლი 31. 2020-2021 სასწავლო წელს მოსწავლეთა აღრიცხვისა და შეფასების მიზნით გამოიყენება მხოლოდ ელექტრონული ჟურნალი (SCHOOLBOOK);

მუხლი 32. მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 წუთისა ელექტრონულ ჟურნალში აღრიცხოს მოსწავლეთა დასწრება და მიმდინარე დღის 17.00 საათამდე შეიტანოს ნიშნები და სასწავლო მასალა. ხელისშემშლელი ობიექტური გარემოებების შემთხვევაში, მასწავლებელი მოსწავლეთა დასწრებას აღრიცხავს საკუთარ ბლოკნოტში და აღნიშნული მონაცემები 17.00 საათამდე გადააქვს ელექტრონულ ჟურნალში;

მუხლი 33. ელექტრონული ჟურნალის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია აკადემიის IT მენეჯერი. ჟურნალის მონიტორინგს ახორციელებენ სასწავლო პროცესის ხარისხის მართვის სამსახურის სამსახურის უფროსი და სასწავლო პროცესის მენეჯერი.

თავი VI. აკადემიის საერთო სივრცეებში გადაადგილების წესი

მუხლი 34. აკადემიის საერთო სარგებლობის სივრცეებში (მათ შორის, დერეფანი, კიბის უჯრედი, სამასწავლებლო, საკლასო ოთახი და ა.შ.) ყოფნისა და გადაადგილებისას ყველა პირს, მათ V-XI კალსების მოსწავლეებს უკეთია პირბადე, (პირბადის ტარების ვალდებულება არ აქვს I-IV კლასების მოსწავლეებს და აღსაზრდელებისა)

მუხლი 35. აკადემიაში შემუშავებულია საერთო სივრცეში (ეზოში, მოედანზე, დარბაზში) მოსწავლეებისა და აღსაზრდელების გაყვანის დროები ისე, რომ თავიდან ავიცილოთ ბავშვების დიდი რაოდენობის თამაში/დასვენება; გაკვეთილებს შორის შესვენებები სხვადასხვა კლასის მოსწავლეებისთვის დაგეგმილია განსხვავებულ დროს (10 წუთიანი ინტერვალით), რითაც მაქსიმალურად უზრუნველყოფილია სხვადასხვა კლასის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სივრცეების ფიზიკურად გამიჯვნის შესაძლებლობა;

მუხლი 36. მოსწავლეებს/აღსაზრდელებს სასწავლო ცხრილით განსაზღვრული აქტივობების/გაკვეთილების უმრავლესობა უტარდებათ მათთვის განკუთვნილ საკლასო ოთახში. უცხოურ ენებში განაყოფების ოთახების, ასევე ლაბორატორიების გამოყენების

შემთხვევებში, მოსწავლეთა სხვადასხვა ნაკადის გადაადგილებისას უზრუნველყოფილია 30 წუთიანი შუალედის დაცვა (დანართი N 6ა, დანართი N 6ბ), განაყოფის ოთახების/ლაბორატორიების განიავება, მაგიდების და საერთო გამოყენების ზედაპირების დამუშავება სადეზინფექციო ხსნარით;

მუხლი 37. საკლასო ოთახების განიავებას, მერხებს შორის დისტანციის დაცვას, აკადემიის სივრცეში მოსწავლეთა გადაადგილებას, ასევე, შესვენების პერიოდში მათი მხრიდან დისტანციის დაცვას მონიტორინგს უწევს აკადემიის ადმინისტრაციის უფროსი და კლასის დამრიგებელი/დამრიგებლის ასისტენტი.

თავი VII. აკადემიის სანიტარიული კვანძის, შიდა და გარე სივრცეების დასუფთავების წესი

მუხლი 38. აკადემიის სანიტარული კვანძები სველი წესით სუფთავდება ყოველი დასვენების შემდეგ. სანიტარული კვანძის მოპირკეთებული ზედაპირების, უნიტაზების, ხელსაბანი ნიჟარების რეცხვა და დეზინფიცირება ხორციელდება დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში 2-ჯერ;

მუხლი 39. დამლაგებლები უზრუნველყოფილნი არიან ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით: ხელთათმანებით; სახის ფარით; წყალგაუმტარი წინსაფარით (რომელიც ყოველი გამოყენების შემდეგ ექვემდებარება რეცხვასა და დეზინფიცირებას) ერთჯერადი წყალგაუმტარი ხალათით (დანართი N 7);

მუხლი 40. სანიტარული კვანძის დასუფთავებისათვის გამოსაყენებელი საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში, პირვანდელი/მწარმოებლის შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი გარეშე პირებისთვის; დასუფთავებისთვის გამოსაყენებელი საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებებისთვის განკუთვნილი საცავი (ოთახი N 113) უზრუნველყოფილია ბუნებრივი ვენტილაციით;

მუხლი 41. კიბის მოაჯირები, საკლასო ინვენტარი და ხშირად გამოყენებული ზედაპირების სანიტარული დამუშავება ხორციელდება მათი დაბინძურების შესაბამისად და/ან არაუმეტეს 3 საათიანი ინტერვალებით;

მუხლი 42. ყოველი სასწავლო დღის შემდგომ სველი წესით მუშავდება საერთო გამოყენების სივრცე;

მუხლი 43. სანიტარული კვანძებისა და აკადემიის ტერიტორიის დასუფთავებაზე, სადეზინფექციო რესურსების მარაგების შექმნასა და მათ უსაფრთხოდ შენახვაზე პასუხისმგებელია აკადემიის ტექნიკური მენეჯერი. დასუფთავების პროცესს მონიტორინგს უწევს ადმინისტრაციის უფროსი (დანართი N 8).

თავი VIII. პირველადი სამედიცინო დახმარება და სამედიცინო კაბინეტის მოწყობის წესი

მუხლი 44. აკადემიის სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი ინვენტარითა და მედიკამენტებით (დანართი N 9)

მუხლი 45. ექიმის კაბინეტში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია პირველადი დახმარების ინსტრუქცია/პროტოკოლი;

მუხლი 46. სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის მოსვლამდე მოსწავლეებს/აღსაზრდელებს, თანამშრომლებს და ვიზიტორებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას უწევს აკადემიის ექიმი;

მუხლი 47. გადაუდებელი შემთხვევის დროს სასწრაფო სამედიცინო მომსახურების ბრიგადის გამოძახებასა და მშობლების ინფორმირებაზე პასუხისმგებელია აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ექიმი.

თავი IX. სადამრიგებლო/აღმზრდელობითი საქმიანობის განხორციელება

მუხლი 48. აკადემიაში მოსწავლის/აღსაზრდელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში კლასის დამრიგებელი/ბაღის პედაგოგი/სკოლამდელი აღზრდის პროგრამის მენეჯერი ადგენს და წერილობით აფიქსირებს გაცდენის მიზეზს და მონაცემებს აწვდის დირექციას;

მუხლი 49. კლასის დამრიგებლები/ ბაღის პედაგოგები უზრუნველყოფენ საკლასო ოთახების განიავებას ყოველ დასვენებაზე;

მუხლი 50. კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს კლასში მოსწავლეთა შორის 1 მეტრიანი დისტანციის დაცვას და შესვენებებისას მოსწავლეთა დისტანცირებას საკლასო ოთახსა და აკადემიის სივრცეში;

მუხლი 51. V-XI კლასების დამრიგებლები ორგანიზებას უწევენ მოსწავლეთა კლასში კვების პროცესს. ხოლო I-IV კლასების დამრიგებლები და დამრიგებლის ასისტენტები უზრუნველყოფენ მოსწავლეთა/აღსაზრდელთა (4-5 წლიანები და 5-6 წლიანები) ბუფეტში ჩაყვანასა და მათთვის განსაზღვრულ მაგიდებთან განთავსებას დისტანციის დაცვით; სკოლამდელი აღზრდის პროგრამის ჯგუფების კვების ორგანიზებას კაფეტერიასთან ერთად აკეთებს ჯგუფის მასწავლებლები და სკოლამდელი აღზრდის პროგრამის მენეჯერი.

მუხლი 52. სადამრიგებლო სააღმზრდელო საქმიანობის განხორციელებაზე პასუხისმგებელია აკადემიის სასწავლო პროცესის მენეჯერი.

მუხლი 52 ა. სკოლამდელი აღზრდის პროგრამაზე შედგენილია სქემა, ბავშვების ოთახებში განაწილებასთან და მათ რაოდენობასთან დაკავშირებით. (დანართი 10)

თავი X. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

მუხლი 53. ვიზიტორთათვის განკუთვნილ სამუშაო მაგიდებს შორის განსაზღვრულია უსაფრთხო დისტანცია (არანაკლებ 2მ);

მუხლი 54. ვიზიტორები მათთვის განკუთვნილ მაგიდებთან მუშაობენ ინდივიდუალურად (აკრძალულია მოსწავლეებისა და თანამშრომლების ჯგუფური მუშაობა);

მუხლი 55. უზრუნველყოფილია ხშირად შეხებადი ზედაპირების (მათ შორის კარის და ფანჯრის სახელურები, კიბის მოაჯირები, ლიფტის ღილაკების და სხვა) დამუშავება სადეზინფექციო ხსნარებით არანაკლებ 3-ჯერ დღეში;

მუხლი 56. ყოველი გამოყენების შემდეგ ხდება კომპიუტერისა და მისი აქსესუარების და სამუშაო ავეჯის დამუშავება სადეზინფექციო ხსნარებით;

მუხლი 57. გამოყენებული, მომხმარებლისგან/მკითხველისგან დაბრუნებული დოკუმენტების განსათავსებლად გამოყოფილია სპეციალური მაგიდები ან თაროები. გამოყენებული დოკუმენტების სპეციალურ საცავში განთავსების ვადად განსაზღვრულია 3-5 დღე, როდესაც ხდება მათი დეზინფიცირება;

მუხლი 58. ბიბლიოთეკის შესასვლელში ვიზიტორთათვის თვალსაჩინო და ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსებულია ხელის სადეზინფექციო არანაკლებ 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ხსნარი და მისი გამოყენების წესები. სადეზინფექციო ხსნარის გამოყენება ხდება დარბაზის დროებით დატოვებისა და დაბრუნებისას;

მუხლი 59. ბიბლიოთეკის მუშაობისთან დაკავშირებული რეგულაციების შესრულებაზე პასუხისმგებელია აკადემიის ბიბლიოთეკარი.

თავი XI. კაფეტერიით სარგებლობისა და მოსწავლეთა/აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფის წესი

მუხლი 60. აკადემიის I-IV კლასების მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან ორჯერადი კვებით - სადილით და სამხარით;

მუხლი 61. აკადემიის სკოლამდელი აღზრდის აღსაზრდელები უზრუნველყოფილნი არიან ოთხჯერადი კვებით - საუზმით, ხილი და ბოსტნეულით, სადილით და სამხარით;

მუხლი 62. აკადემიის I-IV კლასების მოსწავლეებისა და სკოლამდელი აღზრდის პროგრამის აღსაზრდელებისთვის აკადემია ორგანიზებას უკეთებს მოსწავლეების კვებას საკლასო ოთახებში ე.წ „ლანჩბოქსების“ გამოყენებით.

მუხლი 63. აკადემიის V-XI კლასების მოსწავლეების კვება ხდება საკლასო ოთახებში სახლიდან კონტეინერით მოტანილი საკვებით.

მუხლი 64. კაფეტერიისთვის საკვების შეკვეთის შემთხვევაში, შეკვეთას ახორციელებს კლასის დამრიგებელი ან დამრიგებლის მიერ შერჩეული მოსწავლე. შეკვეთის მიმღებია კაფეტერიის გამგე ან მის მიერ გამოყოფილი პირი. შეკვეთის შესაძლო ფორმებია: პირდაპირი ან სატელეფონო კომუნიკაცია, ელ-ფოსტაზე ან სოციალური ქსელის მეშვეობით გადაგზავნილი ინფორმაცია; (აღნიშნული რეგულაცია ამოქმედდება სასადილოს ფუნქციონირების ახდგენის შემდეგ)

მუხლი 65. კაფეტერიის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს კლასის/მოსწავლეების მიერ შეკვეთილი საკვების ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო ერთჯერად პაკეტებში/კონტეინერებში განთავსებას და 10 წუთიანი დასვენების დაწყებისთანავე შემკვეთისთვის/კლასისთვის მის მიწოდებას; (აღნიშნული რეგულაცია ამოქმედდება სასადილოს ფუნქციონირების ახდგენის შემდეგ)

მუხლი 66. აღსაზრდელები/მოსწავლეები საკვების მიღებამდე იბანენ ხელს წყლით და საპნით. I-IV კლასების მოსწავლეები ხელის დასაბანად იყენებ კაფეტერიის შესასვლელთან

განთავსებულ საპირფარეშოებს, ხოლო V-XI კლასების მოსწავლეები - მათი კლასების განთავსების სართულებზე არსებულ საპირფარეშოებს;

მუხლი 67. საკლასო ოთახში საკვების მიღების შემდეგ, გამოყენებული კონტეინერები/პაკეტები და სხვ. ნარჩენები თავსდება დახურულ ურნებში (პოლიეთილენის ცელოფანში), რომელთა საკლასო ოთახებიდან დროულ გატანას უზრუნველყოფს დამლაგებელი;

მუხლი 68. კაფეტერიის ფუნქციონირებასა და კვების მიმართ წამოყენებული მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელია კაფეტერიის გამგე (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების №17 დანართის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები საზოგადოებრივი კვების ობიექტებისთვის“). საკლასო ოთახში კვების უსაფრთხოდ და რეკომენდაციების დაცვით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია კლასის დამრიგებელი/დამრიგებლის ასისტენტი (დანართი N11).

თავი XII. სპორტის გაკვეთილის ჩატარების წესი

მუხლი 69. აკადემიის სასკოლო სასწავლო გეგმით სპორტის სახეობებად განსაზღვრულია კალათბურთი, ფეხბურთი და ტანვარჯიში;

მუხლი 70. სპორტის გაკვეთილები/აქტივობები ტარდება აკადემიის ეზოში მოწყობილ ღია მოედანსა და ეზოს ტერიტორიაზე;

მუხლი 71. სპორტის გაკვეთილები ასევე ტარდება საკლასო და ჯგუფის ოთახებში, რაც ითვალისწინებს სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზების მიზნით მოსწავლეებთან/აღსაზრდელებთან საუბრებს/დისკუსიებს და თემატურ საგანმანათლებლო პროექტებზე მუშაობას.

თავი XIII. უცხოურ ენებში განაყოფებისთვის განკუთვნილი ოთახებისა და სასწავლო ლაბორატორიებით სარგებლობის წესი

მუხლი 72. უცხოური ენების განაყოფების ოთახებში მოსწავლეთა სხვადასხვა ნაკადის გადაადგილებისას, დაცულია 30 წუთიანი შუალედი. ხდება ოთახების განიავება, მაგიდები და საერთო გამოყენების ზედაპირები მუშავდება სადეზინფექციო ხსნარით;

მუხლი 73. უცხოურ ენებში განაყოფები ისეა განაწილებული, რომ კლასი კვირაში მინიმუმ ორჯერ მაინც სარგებლობს განაყოფის ოთახით. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები ვერ შედიან განაყოფის ოთახში, უცხოური ენების მასწავლებლები წყვილში ატარებენ გაკვეთილს მოსწავლეების საკლასო ოთახში;

მუხლი 74. აკადემიის სასწავლო ლაბორატორიებში (ქიმიისა და ისტ-ის ლაბორატორია) მოსწავლეთა სხვადასხვა ნაკადის გადაადგილებისას დაცულია 30 წუთიანი შუალედი, როდესაც ხდება ლაბორატორიის განიავება, მაგიდებისა და საერთო გამოყენების ზედაპირების დამუშავება სადეზინფექციო ხსნარით

მუხლი 75. კლასებს ლაბორატორიებში გაკვეთილები უტარდებათ შემდეგი პრინციპის დაცვით: ისტ-ის, ბუნებისმეტყველების და ქიმიის ლაბორატორიები იქნება ერთ ოთახში. ცხრილი ისეა გადნაწილებული, რომ მოსწავლეებს ქიმიის და ისტ-ის გაკვეთილები მინიმუმ ერთხელ მაინც ჩაუტარდებათ ლაბორატორიაში. ბუნებისმეტყველება კლასების უმრავლესობას მინიმუმ ერთხელ მაინც უტარდება აღნიშნულ ლაბორატორიაში. ლაბორატორია გათვლილია 18 მოსწავლეზე. კლასში 18 მოსწავლეზე მეტის არსებობის შემთხვევაში, მოსწავლეებს გაკვეთილი უტარდებათ საკლასო ოთახში. ლაბორატორიაში არის 15 კომპიუტერი. დამატებით მოსწავლეები იყენებენ ლეპტოპებს, რომელთა დეზინფიცირება ხდება დადგენილი წესით. ფიზიკის და ბიოლოგიის გაკვეთილები მოსწავლეებს ჩაუტარდებათ საკლასო ოთახში. ფიზიკის ლაბორატორია გამოყენებულია უცხოური ენების განაყოფის ოთახად.

თავი XIV. აკადემიის კლუბების მუშაობის წესი

მუხლი 76. აკადემიაში VII-XI კლასებისთვის საკლუბო მუშაობა მიმდინარეობს დისტანციურად. ხოლო, I-VI კლასში კლუბები მუშაობას დაიწყებს 1-ლი ოქტომბრიდან. კლუბებს აირჩევს კონკრეტული კლასი, ისინი დარჩებიან საკუთარ საკლასო ოთახებში, რითაც გამოირიცხება სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა ერთ სივრცეში ყოფნა.

თავი XV. მშობელთა კრებების ორგანიზების წესი

მუხლი 77. აკადემიაში მოსწავლეთა/აღსაზრდელთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაერთიანებული და ინდივიდუალური შეხვედრები წარიმართება დისტანციურ რეჟიმში, როგორც FaceBook ჯგუფების (წერილობითი შეთანხმება), ასევე zoom-ის პლატფორმის გამოყენებით. მშობლებს კლასის დამრიგებელი/სკოლამდელი აღზრდის პროგრამის მენეჯერი წინასწარ მიაწვდის შეხვედრის თარიღს, დროს, ZOOM-ის მონაცემებს და, აკადემიის ტექნიკური მენეჯერის მხარდაჭერით, უზრუნველყოფს ტექნიკური პრობლემების პრევენცია-მართვას. იგივე პრინციპით განხორციელდება მშობელთა ინიციატივით ჩასატარებელი შეხვედრებიც.

თავი XVI. უცხო პირთა, მათ შორის მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების აკადემიაში დაშვების წესი

მუხლი 78. აკადემიაში უცხო პირები, მათ შორის მოსწავლეთა/აღსაზრდელთა მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, დაიშვებიან დირექციის თანხმობით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აკადემიაში ვიზიტის გარეშე შეუძლებელია კონკრეტული საკითხის განხილვა;

მუხლი 79. ვიზიტორმა ვიზიტის თარიღისა და მიზნის შესახებ წერილობით (info@cea.ge) უნდა მიმართოს აკადემიის დირექციას ვიზიტამდე არაუგვიანეს ერთი დღით ადრე. გადაუდებელ შემთხვევაში ვიზიტის შეთანხმება შესაძლებელია სატელეფონო ზარით (322913535).

თავი XVII. მოსწავლეთა რემედიაციის წესი

მუხლი 80. იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე, ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნებიდან გამომდინარე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ შეძლებს აკადემიაში დაესწროს გაკვეთილებს, სასწავლო პროცესის მენეჯერთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკით, მას კონსულტირებას დისტანციურად გაუწევენ საგნის მასწავლებლები zoom-ის პლატფორმის გამოყენებით; ასევე აკადემია მოსწავლეს მიავდის საჭირო სასწავლო რესურსებს აკადემიის ელექტრონული ჟურნალის გამოყენებით;

მუხლი 81. აკადემიაში დაბრუნებისას შესაბამისი პირები შეისწავლიან მოსწავლის საჭიროებებს, მასწავლებლები დაგეგმავენ რელევანტურ აქტივობებს და, დამრიგებლის ორგანიზებით, კონსულტირების დროს გამოიყენებენ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროების საპასუხოდ.

თავი XVIII. აკადემიის ფსიქოლოგის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებაში

მუხლი 82. აკადემიაში მუშაობს ორი ფსიქოლოგი. საჭიროების შესაბამისად, ისინი ახორციელებენ აქტივობებს, რომლებიც მიმართულია მოსწავლის/აღსაზრდელის ემოციური სტაბილურობისკენ. ასევე, ფსიქოლოგები, საჭიროების შემთხვევაში, მოამზადებენ მცირე საინფორმაციო ვიდეოებს მშობლებისთვის, როგორ შეიძლება ვესაუბროთ მოსწავლეებს/აღსაზრდელებს კორონავირუსის შესახებ, რა პრევენციული ღონისძიებები შეიძლება გავატაროთ, რათა მოსწავლის/აღსაზრდელის ემოციურ მდგომარეობაზე არსებულმა გარემომ უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს. კლასებთან/ჯგუფებთან ფსიქოლოგები იმუშავენ იმ შემთხვევაშიც, თუ კლასში/ჯგუფში დაფიქსირდა ვირუსის შემთხვევა. ამ შემთხვევაში, მათი მუშაობის ძირითადი მიზანი იქნება კლასის/ჯგუფის სწორი დამოკიდებულებების ფორმირება.

თავი XIX სსსმ მოსწავლეთან/აღსაზრდელებთან მუშაობა

მუხლი 83. ამ ეტაპზე აკადემიაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე/აღსაზრდელი. თუ პანდემიის პირობებში აკადემიაში ჩაირიცხება სსსმ მოსწავლე/აღსაზრდელი, აკადემიაში:

- სპეციალისტი აღჭურვილი იქნება სსსმ მოსწავლესთან მუშაობის დროს პირბადით, როცა მისი სამუშაო მოითხოვს 1 მ-ზე ახლოს მიახლოებას, ხოლო, ხელებით კონტაქტის საჭიროების დროს -ხელთათმანით;
- რესურსოთახში, ინტეგრირებულ კლასსა და ასევე, საჭიროების შესაბამისად, საკლასო ოთახში, უზრუნველყოფილი იქნება გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი;
- მუდმივად განხორციელდება ზედაპირის დასუფთავება/დეზინფექცია, რომელთანაც შეხება უწევს სსსმ მოსწავლეს/აღსაზრდელსა და მასთან მომუშავე სპეციალისტს/სპეციალისტებს (მოსწავლესთან მუშაობის პროცესში გამოყენებული

ნებისმიერი დამხმარე და განმავითარებელი რესურსი, მათ შორის, ეტლი, ყავარჯენი, სათვალე და სხვა).

დანართები

დანართი N 1. მოსწავლის/აღსაზრდელის გზამკვლევი (მოსწავლის ქცევის წესები)

- აკადემიის ეზოს ტერიტორიაზე გაიარეთ თერმოსკრინინგი;
- თერმოსკრინინგის გავლისას დაიცავით ერთმეტრიანი დისტანცია;
- აკადემიის შენობაში შემოსვლისას გაიარეთ დეზობარიერი;
- აკადემიის შენობაში შემოსვლისას ხელები დაიმუშავეთ სადეზინფექციო ხსნარით;
- დაიცავით ჰიგიენის წესები;
- დაიცავით აკადემიის მიერ დადგენილი წესები;
- დაიმუშავეთ ხელები სადეზინფექციო ხსნარით იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება ხელების დაბანა. სხვა შემთხვევაში, გამოიყენეთ თხევადი საპონი და ხელები გაიშრეთ ერთჯერადი ხელსახოცით;
- დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით ხილული დაბინძურების შემთხვევაში;
- საპირფარეშოთი სარგებლობის შემდეგ დაიბანეთ ხელები საპნით და გაიმშრალეთ ქაღალდის ხელსახოცით.
- საკვების მიღებამდე და შემდეგ დაიბანეთ ხელები საპნით და გაიმშრალეთ ქაღალდის ხელსახოცით;
- დახველებისა და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი (რომელიც ერთჯერადი გამოყენების შემდეგ ექვემდებარება გადაგდებას) ან მოხრილი იდაყვი;
- V-XI კლასის მოსწავლეები სკოლის საერთო სივრცეებში, მათ შორის საკლასო ოთახსა და ეზოში უნდა იმყოფებოდნენ პირბადით;
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირსა და პირზე შეხებას;
- სწავლების პერიოდში/გაკვეთილზე თმა შეიკარით/მჭიდროდ დაიმაგრეთ, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება;
- არ გამოიყენოთ სხვისი ნივთები; კლასში არსებული ცარცის/მარკერის გამოყენებამდე, დარწმუნდით, რომ იგი დამუშავებულია სათანადო წესით;
- საკლასო ოთახში, დერეფნებსა და აკადემიის სხვა სივრცეებში დაიცავი ერთმეტრიანი დისტანცია, საკლასო ოთახში არ შეცვალოთ მერხების განლაგება;

- ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, მიმართეთ აკადემიის ექიმს;
- ლაბორატორიებსა და უცხოური ენების განაყოფის ოთახებში გადაადგილდით მასწავლებელთან შეთანხმებით;
- ატარეთ და გამოიყენეთ საკუთარი, სუფთა და მარკირებული (სახელი, გვარი) წყლის ბოთლი სკოლაში;
- ატარეთ და გამოიყენეთ საკუთარი მარკირებული (სახელი, გვარი) მარკერი აკადემიაში;

დანართი N 2. მასწავლებლის/თანამშრომლის გზამკვლევი

- თანამშრომელი ვალდებულია აკადემიის სივრცეში შემოსვლისას გაიაროს თერმოსკრინინგი;
- ცხელების ან სხვა რესპირატორული დაავადების სიმპტომების გამოვლენისას თანამშრომელმა უნდა მიმართოს ოჯახის ექიმს, ან ცხელების ცენტრს, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად და პჯრ-ტესტირების ჩასატარებლად
- საგაკვეთილო პროცესის დროს მასწავლებელი ვალდებულია ეკეთოს პირბადე.
- აკადემიის სივრცეებში გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ პირბადით.
- მასწავლებელი ვალდებულია საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას აკონტროლოს მოსწავლის/აღსაზრდელის გამოყენებული ნივთების უსაფრთხოება, ჩაუტაროს ნივთებს დეზინფექცია იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია სასწავლო ნივთის სხვადასხვა მოსწავლის მიერ გამოყენება
- მუშაობის პერიოდში უზრუნველყავით თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება;
- კლასიდან კლასში გადაადგილებისას მასწავლებელმა ხელები უნდა დაიმუშაოს სადეზინფექციო ხსნარით;
- მშობლებთან კომუნიკაცია თანამშრომელმა უნდა წარმართოს მხოლოდ დისტანციური სერვისების გამოყენებით;

დანართი N 3. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გზამკვლევი

მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გზამკვლევი:

- ცხელების/რესპირატორული დაავადების შემთხვევაში, არ გამოუშვათ მოსწავლე/აღსაზრდელი აკადემიაში;
- ცხელების/რესპირატორული დაავადების სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში, დროულად გაიყვანეთ მოსწავლე აკადემიიდან და უზრუნველყავით ბავშვის მიმართვა ოჯახის ექიმთან, ან ცხელების ცენტრში,

შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად და პჯრ-ტესტირების ჩასატარებლად;

- ცხელების ან სხვა რესპირატორული დაავადების სიმპტომების გამოვლენისას უზრუნველყავით ბავშვის მიმართვა ოჯახის ექიმთან, ან ცხელების ცენტრში, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად და პჯრ-ტესტირების ჩასატარებლად.
- V-XI კლასის მოსწავლეებს აკადემიაში გამოატანეთ პირბადეები;
- სასკოლო ტრანსპორტით მგზავრობისას სავალდებულოა პირბადის ტარება;
- სახლის პირობებში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, შეატყობინეთ აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია კლასის დამრიგებელს;
- აკადემიაში ტემპეტარურის ან სხვა რესპირატორული დაავადების სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში, მოსწავლე გადადის საიზოლაციო ოთახში. მშობელი ვალდებულია, გონივრულ ვადაში გაიყვანოს მოსწავლე აკადემიიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სკოლა დაუკავშირდება 112-ს შესაბამისი სერვისის მისაღებად.
- აკადემიის სივრცეებში მშობელთა გადაადგილება შეზღუდულია, გარდა აუცილებელი, დირექციასთან შეთანხმებული, მიზეზებისა;
- აკადემიის დირექციასთან, მასწავლებლებთან როგორც დაგეგმილი, ისე მიმდინარე შეხვედრებისთვის გამოიყენეთ Zoom-ის პლატფორმა;
- შეეცადეთ მოსწავლე/აღსაზრდელი აკადემიაში გამოცხადდეს სწავლის დაწყებამდე 10 წუთით ადრე, რათა თავიდან ავირიდოთ რიგები თერმოსკრინინგისას.
- მოსწავლეს არ გამოტანოთ რბილი/ქსოვილის ნივთები, რომელთა სველი წესით დამუშავება შეუძლებელია;
- აკადემიიდან მოსწავლის გაყვანის შემთხვევაში, დაუკავშირდით დამრიგებელს/დამრიგებლის ასისტენტს, შეატყობინეთ თქვენი აკადემიის ტერიტორიაზე მოსვლის შესახებ.
- მოსწავლეს გამოატანეთ საკუთარი, სუფთა და მარკირებული (სახელი, გვარი) წყლის ბოთლი აკადემიაში.
- მოსწავლეს გამოატანეთ საკუთარი მარკირებული (სახელი, გვარი) მარკერი აკადემიაში.

დანართი N 4. აკადემიაში მოსული გარეშე პირების რეგისტრაციის ჟურნალი

თარიღი _____

N	სახელი გვარი	პირადი ნომერი	სტუმრის სტატუსი	მოსვლის დრო	გასვლის დრო

დანართი N 5ა. სასკოლო-სასწავლო რეჟიმი

I კლასის დღის განრიგი				
	დაწყება	დასრულება	ხანგრძლივობა	შესვენება
1	9:10	9:40	30	5
2	9:45	10:20	35	10
3	10:30	11:05	35	10
4	11:20	11:55	35	10
5	12:10	12:45	35	10
6	13:00	13:35	35	10

7	13:45	14:20	35	
II-IV კლასის დღის განრიგი				
	დაწყება	დასრულება	ხანგრძლივობა	შესვენება
1	9:10	9:40	30	5
2	9:45	10:25	40	5
3	10:30	11:10	40	10
4	11:20	12:00	40	10
5	12:10	12:50	40	10
6	13:00	13:40	40	5
7	13:45	14:25	40	5
8	14:30	15:10	40	
V- XI კლასის დღის განრიგი				
	დაწყება	დასრულება	ხანგრძლივობა	შესვენება
1	9:00	9:40	40	5
2	9:45	10:25	40	5
3	10:30	11:10	40	10
4	11:20	12:00	40	10
5	12:10	12:50	40	10
6	13:00	13:40	40	5
7	13:45	14:25	40	5
8	14:30	15:10	40	

სადილი	
დრო	კლასი

11:15	1ა, 1ბ, 2ა, 4ა, 4ბ
12:05	2ბ, 3ა, 3ბ, 4გ, 4დ
სამხარი	
15:15	1ა, 1ბ, 2ა, 4ა, 4ბ
15:45	2ბ, 3ა, 3ბ, 4გ, 4დ
ეზოში გასვლა	
11:40 – 12:05	1ა, 1ბ, 2ა, 4ა, 4ბ
12:30 – 12:55	2ბ, 3ა, 3ბ, 4გ, 4დ
14:30 – 15:05	1ა, 1ბ, 2ა, 2ბ,
15:15 – 15:40	3ა, 3ბ, 5ა, 5ბ, 5გ,
16:00 – 16:25	4ა, 4ბ; 4გ, 4დ; 5დ, 6

დანართი N5 ბ. სკოლამდელი აღზრდის პროგრამა - დღის განმევალობაში.

09:00 – 09:45 – ბავშვის მოყვანა და ეზოს დრო/ Yard Time

09:45 – 10:00- საუზმისთვის მომზადება/ Preparing for Breakfast

10:00 – 10:30 - საუზმე/ Breakfast

10:30 – 11:00 - წრეში შეხვედრა/ Circle Time

11:00- 12:00 - პროგრამით გათვალისწინებული აქტივობა/ Project Activities

12:00 – 12:15 - ხილი და ბოსტნეული / Fruits and Vegetables

12:15 – 13:00 - თავისუფალი თამაში/ Free to Play

13:00 - 13:30 - მეცნიერების ბლოკი/ Science Block

13:30 – 14:00 - სადილი/ Lunch

14:00 – 15:00 - ეზოს დრო/ გუნდური აქტივობები/ Yard Time/ Group activities

15:00 – 16:00 - ცეკვა/მუსიკა/სპორტი/ ტანვარჯიში/ Dance/ Music/ Sport/Gymnastics

16:00 – 16:30 - სამზარი/Supper

16:30 – 17:30 - კითხვის დრო/ხელოვნების დრო/ Reading Time/ Art Time

17:30 – 19:00 - ეზოს დრო/სმარტ ბორდის ოთახი/ Yard Time/ Smart Board

დანართი N 6 ა. ლაბორატორიებით სარგებლობის გრაფიკი

ორშაბათი		სამშაბათი		ოთხშაბათი		ხუთშაბათი		პარასკევი	
გაკვეთილი	ქიმიის ლაბორატორია	გაკვეთილი	ქიმიის ლაბორატორია	გაკვეთილი	ქიმიის ლაბორატორია	გაკვეთილი	ქიმიის ლაბორატორია	გაკვეთილი	ქიმიის ლაბორატორია
I	5ა - ბუნებისმეტყველება	I	5ა კლასი ისტ	I	8 კლასი - ქიმია	I		I	10 კლ - ქიმია
II		II		II		II	5ბ კლასი ისტ	II	
III	5ბ - ბუნებისმეტყველება	III	5დ კლასი ისტ	III		III		III	11 კლ - ქიმია
IV		IV		IV	5დ ბუნებისმეტყველება	IV	5გ კლასი ისტ	IV	
V	6 - ბუნებისმეტყველება	V	6 კლასი ისტ	V		V		V	
VI				VI				VI	9 კლ - ქიმია
VII	5გ - ბუნებისმეტყველება			VII				VII	9 კლ - ქიმია
				VIII					

დანართი N 6 ბ.

უცხოური ენების განაყოფის ოთახებით სარგებლობის გრაფიკი

ორშაბათი					
გაკვეთილი	I -1 სართული (ოთახი #03)	II - 1 სართული (ოთახი #04)	III - 1 სართული (ოთახი #05)	უცხოური ენების ოთახი (ოთახი #109)	V - ოთახი #103
I					
II					8 ა
III	2ა			2ბ	
IV				2ბ	3ა
V		5გ	5ბ		
VI	5ა			5დ	4დ
VII			6		4დ

სამშაბათი						
გაკვეთილი	I -1 სართული (ოთახი #03)	II - 1 სართული სართული (ოთახი #04)	III - 1 სართული (ოთახი #05)	უცხოური ენების ოთახი (ოთახი #109)	V - ოთახი #103	VI ისტ ლაბორატორია (ოთახი #06)
I				5დ	5გ	
II			2ა	5დ	5გ	
III	5ა	3ბ				8 ა
IV	5ა	3ბ		11 ა		
V					9 ა	
VI			5ბ	6ა		
VII		11 ა		6 ა	4დ	
VIII			3ა			

ოთხშაბათი

გაკვეთილი	I-1 სართული (ოთახი #03)	II - 1 სართული სართული (ოთახი #04)	III - 1 სართული (ოთახი #05)	უცხოური ენების ოთახი (ოთახი #109)	V - ოთახი #103	VI ისტ ლაბორატორია (ოთახი #06)	VII- ფიზიკა (ოთახი #07)	ბიბლიოთეკა
I					6 ა			
II	9 ა	4დ	5ბ	3ბ	5ა			
III	9 ა					5გ	2ა	11ა
IV		5გ	8 ა	10 ა	3ა			
V	5დ					5ა	5ბ	
VI			4დ	5დ	8 ა			
VII	5ბ	6ა	4დ					

ხუთშაბათი

გაკვეთილი	I - 1 სართული (ოთახი #03)	II - 1 სართული სართული (ოთახი #04)	III - 1 სართული (ოთახი #05)	უცხოური ენების ოთახი (ოთახი #109)	V - ოთახი #103
I					
II	8ა		2ა		
III	8 ა	3ა		3ბ	
IV				3ბ	5ბ
V			5გ		5ბ
VI		4დ		5დ	
VII			5ა		2ბ

პარასკევი

გაკვეთილი	II - 1 სართული (ოთახი #04)	III - 1 სართული (ოთახი #05)	უცხოური ენების ოთახი (ოთახი #109)	V - ოთახი #103	VI ისტ ლაბორატორია (ოთახი #06)	ბიბლიოთეკა
I				5ა		11ა
II						9ა
III	5დ	6ა		11ა		
IV			6ა		4დ	10ა
V	11ა		6 ა	5დ		
VI		5ბ			5გ	
VII				5ა	5გ	
VIII			3ა			

დანართი N 7. დასუფთავების საჭირო ინვენტარისა და საშუალებების სტანდარტული ჩამონათვალი:

- ინვენტარის გადასაადგილებელი საშუალება
- იატაკის საწმენდი ჯოხი - სველი დამუშავებისათვის
- ორგანოფილებიანი სათლი: სუფთა წყალი/სარეცხი საშუალებიანი სითხე
- აქანდაზი და ცოცხი
- ხელთათმანი და სათადარიგო ხელთათმანი
- მუშაობის წინსაფარი სანიტარიულ კვანძში ოპერირებისათვის
- ტილოები მ.შ. იატაკის, შუშისათვის და ავეჯისთვის
- საწმენდი ღრუბელი, ჯაგრისი, სახეხი (რბილი მეტალის სპირალი)
- ჰაერის დეზოდორი
- ხის ავეჯის დასამუშავებელი (საჭიროების შემთხვევაში)
- ტყავის ზედაპირების დასამუშავებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში
- სარეცხი ფხვნილი (გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ ტილოების გასარეცხად)
- ზედაპირების სახეხი ფხვნილი ან კრემი
- სითხე იატაკის წმენდისა და გაპრიალებისათვის, მოპირკეთების ტიპის (ხე, მეტლახი, ლინოლეუმი და სხვ.)
- უნიტაზის დასამუშავებელი სითხე
- შუშის საწმენდი
- ნიკელის, თითბრის და ლითონის სხვა ზედაპირების დასამუშავებელი საშუალება
- ტრაპების და კოლექტორების დასამუშავებელი საშუალება
- დიდი და პატარა ნაგვის პარკები
- სადეზინფექციო ხსნარი, დასალაგებელი ინვენტარის დასამუშავებლად, დასუფთავების პროცესის დამთავრების შემდეგ

დანართი N 8.

ა) ობიექტის დეზინფექციის აღრიცხვის ჟურნალი

N	სახელი, გვარი	სადეზინფექციო ხსნარის დასახ	დეზინფექციის ჩატარების ადგილი	სადეზინფექციის კონცენტრაცია	დაყოვნების დრო	თარიღი / დრო	ხელმოწერა
1						05.09. – 11:00	
2							
3							

4							
5							
6							
7							
8							
9							
10							
11							

პასუხისმგებელი პირი _____

ბ) აკადემიის დასუფთავებისა და დეზინფექციის განრიგი

დრო	დღის განრიგი
08:45-09:00	სამუშაო სივრცეების ბუნებრივი ვენტილაცია;
08:45-09:00	უნიტაზების, ხელსაბანი ნიჟარების წმენდა და დეზინფიცირება
09:00-10:30	საერთო სივრცეების დასუფთავება/დეზინფექცია (დერეფნები, დარბაზები,განაყოფის ოთახები, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, ადმინისტრაცია და სხვა.)
09:45-10:05	სანიტარიული წერტილების სანიტარიული დასუფთავება
10:05-10:25	სანიტარული დამუშავება ხშირად გამოყენებული ზედაპირების (მოაჯირების, კარების სახელურების, ჩამრთველები და სხვა
10:30-10:50	სანიტარიული წერტილების სანიტარიული დასუფთავება
10:50-11:10	დახურული კონტეინერებიდან ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა ერთჯერადი ხელსაბოცების გამოყენებით.
10:50-11:10	სამუშაო სივრცეების ბუნებრივი ვენტილაცია;
11:15-11:35	სანიტარიული წერტილების სანიტარიული დასუფთავება
11:35-11:55	საერთო სივრცეების დასუფთავება/დეზინფექცია (დერეფნები, დარბაზები, განაყოფის ოთახები, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, ადმინისტრაცია და სხვა.)
12:05-12:25	სანიტარიული წერტილების სანიტარიული დასუფთავება

	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
--	----------	-----------	-----------	-----------	-----------

12:25-12:45	სანიტარული დამუშავება ხშირად გამოყენებული ზედაპირების (მოაჯირების, კარების სახელურების, ჩამრთველები და სხვა
12:50-13:10	სანიტარიული წერტილების სანიტარიული დასუფთავება
	საიზოლაციო ოთახის დამუშავება სველი წესით, ყოველი გამოყენების შემთხვევაში
13:40-14:00	სამუშაო სივრცეების ბუნებრივი ვენტილაცია;
14:00-14:20	სანიტარიული წერტილების სანიტარიული დასუფთავება
14:20-15:00	სანიტარიული წერტილების სანიტარიული დასუფთავება
15:00-15:30	საერთო სივრცეების დასუფთავება/დეზინფექცია (დერეფნები, დარბაზები, განაყოფის ოთახები, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, ადმინისტრაცია და სხვა.)
15:30-16:00	სანიტარიული წერტილების სანიტარიული დასუფთავება
16:00-16:30	სანიტარული დამუშავება ხშირად გამოყენებული ზედაპირების (მოაჯირების, კარების სახელურების, ჩამრთველები და სხვა
16:30-17:00	სამუშაო სივრცეების ბუნებრივი ვენტილაცია;
17:00-17:30	უნიტაზების, ხელსაბანი ნიჟარების წმენდა და დეზინფიცირება.
17:30-18:00	კომპიუტერისა და მისი აქსესუარების დამუშავება სადეზინფექციო ხსნარებით ყოველი გამოყენების შემდეგ
18:00:19:00	საერთო გამოყენების სივრცის სველი წესით დალაგება/სანიტარიული დამუშავება
18:00-19:00	დახურული კონტეინერებიდან ნარჩენების პარკის ამოღება და გატანა

გ) საპირფარეშოს დასუფთავების განრიგი

08:45-9:00					
09:45-10:05					
10:30-10:50					
11:15-11:35					
12:05-12:25					
12:50-13:10					
14:00-14:20					
14:20-15:00					
15:30-16:00					
17:00-17:30					

დანართი N 9. სკოლაში გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ფარმაცევტული საშუალებები და სამედიცინო დანიშნულების საგნები

სკოლის სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობაში შედის:

- მაგიდა
- ტახტი
- სააფთიაქო კარადა
- სამედიცინო სასწორი
- სიმაღლის საზომი
- ხელის დინამომეტრი
- თერმომეტრი
- ტონომეტრი
- ფონენდოსკოპი
- გამადიდებელი ლუპა
- რეზინის ლახტი
- რეზინის სათბური
- ბუმტი ყინულისათვის
- სამედიცინო მაკრატელი
- პინცეტი
- ნილაბი „პირით-პირში“ სუნთქვისთვის
- საკაცე
- მაცივარი

მედიკამენტები:

- არანარკოტიკული ტკივილგამაყუჩებელი/არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო/სიცხის დამწევი საშუალებები (პარაცეტამოლის, იბუპროფენის ტაბლეტები, სიროფი)
- ცენტრალური მოქმედების ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები (მაგ. კეტოროლაკი);
- ანტიჰისტამინური საშუალებები (მაგ., ქლორპირამინის ჰიდროქლორიდის ამპულები და ტაბლეტები, ლორატადინის, დესლორატადინის ტაბლეტები)
- ადგილობრივი მოქმედების ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები (მაგ. დიკლოფენაკი)
- ღებინების საწინააღმდეგო საშუალება და კუჭ-ნაწლავის მოტორიკის სტიმულატორი (დომპერიდონი და სხვ. წვეთების ან სიროფის სახით)
- ანტიბრონქოსპაზმული საშუალებები (სალბუტამოლის ტაბლეტები, სიროფი, საინგალაციო პრეპარატები - ალბუტეროლი და სხვ.)
- სპაზმოლიზური საშუალებები (მაგ., ჰიოსცინ-ნ-ბუტილბრომიდი, დროტავერინი);
- რეჰიდრატაციული საშუალება, პერორალური ელექტროლიტების წყალში გასახსნელი პაკეტები
- პროტონული ტუმბოს ინჰიბიტორი (მაგ. ომეპრაზოლი)
- დიარეის საწინააღმდეგო საშუალება (მაგ. დიოსმექტიტი)
- ანტაციდები (მაგ. ალუმინიუმის ფოსფატი)
- კორტიკოსტეროიდული საშუალება (დექსამეტაზონი, პრედნიზოლონი ამპულებში)
- მუკოლიზური და ხველის საწინააღმდეგო პრეპარატები (მაგ. ამბროქსოლის სიროფი და ტაბლეტები)
- ადგილობრივი გამოყენების ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები ფარინგიტის და ტონზილიტის დროს
- ვალიდოლი (აბები), ვალერიანი (წვეთები)
- თვალის წვეთები - (მაგ., სულფაცეტამიდუმის 20% და 30 %-იანი ხსნარი) ო ცხვირის წვეთები, ნაზალური სპრეი
- ყურის წვეთები - (მაგ., ლიდოკაინისა და ფენაზონის ნარევი, ქოლინსალიცილატი და სხვა) ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები: ო თვალის ამოსარეცხი ხსნარი; ო სამედიცინო სპირტი (96%-იანი)
- წყალბადის ზეჟანგი (3% ხსნარი)
- ბრილიანტის მწვანე (1%-იანი ან 2%-იანი სპირტხსნარი)
- იოდი (5%-იანი სპირტხსნარი)
- ბეტადინის ხსნარი ჭრილობის დასამუშავებლად
- სხვადასხვა ზომის სტერილური საფენები
- ბაქტერიოციდული პლასტიკები ჭრილობებისთვის
- ჰიგროსკოპული ბამბა

- ბინტები /სამედიცინო გადასახვევი მასალა
- ერთჯერადი საინექციო შპრიცები
- ერთჯერადი შპადელები
- ერთჯერადი ხელთათმანები (არასტერილური)
-

დანართი N 10 . აღსაზრდელთა რაოდენობა და გადანაწილება ოთახების მიხედვით

- 3 წლიანები - 11 აღსაზრდელი - ოთახი 116
- 4 წლიანები - 13 აღსაზრდელი - ოთახი 117
- 5+ წლიანები - 18 აღსაზრდელი - ოთახი 121
- 5+ წლიანები - 18 აღსაზრდელი - ოთახი 118

დანართი N 11. კაფეტერიაში დასაქმებულთა გზამკვლევი

- დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;
- სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ სრულად ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომლებიც დამსაქმებელმა მოგაწოდათ;
- სამუშაოს დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;
- ხელის ჰიგიენა ჩაიტარეთ ხშირად;
- გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას. გახსოვდეთ, რომ ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას.
- მუშაობის პერიოდში უზრუნველყავით თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება (შესამღებელია ჩაჩის, ან სპეციალური თავსაბურავის გამოყენება);
- ხელთათმანების შეცვლა მოახდინეთ ხშირად. შეცვლისას აუცილებელია ხელების დაბანა. ხელთათმანები არ განიხილოთ როგორც ხელების დაბანის შემცველი საშუალება. ხელების დაბანა უფრო ეფექტური დამცავი ბარიერია ინფექციისთვის, ვიდრე ერთჯერადი ხელთათმანი;
- ხელთათმანები შეცვალეთ არასასურსათო პროდუქტთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარების შემდეგ, მაგალითად ხელით კარების გახსნა / დახურვა და ყუთების დაცლა.

დანართი N 12 ტემპერატურის დადასტურების შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი

	თარიღი			
N	სახელი და გვარი	პირადი ნომერი	სტატუსი	ტემპერატურა
	პასუხიმგებელი პირი			